

საქართველოს კარლაშვილის  
ეროვნული ბიბლიოთეკა  
National Parliamentary  
Library of Georgia

თამაზ კიკნაძე  
სამეცნიერო მოღვაწეობა და ჟურნალება  
Tamaz Kiknadze  
Life and Works  
(1936-1991)

თბილისი  
Tbilisi  
2016

UDC

929(479.22)+91(479.22)(092)+551.44(479.22)(092)

თ -252

კრებული ეძღვნება ქართული გეოგრაფიული სკოლის თვალ-საჩინო წარმომადგენლის, გეოლოგია-მინერალოგის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მოგზაურის, მწერლისა და სპელეოლოგ თამაზ კიკნაძის დაბადებიდან 80 წლისთავს.

კრებული აერთიანებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებული საიუბილეო საღამოს მასალებს (მოხსენებები, სიტყვები, მოგონებები), მეგობრების, კოლეგების მოგონებებს, ქრონოლოგიურად დალაგებულ ბიბლიოგრაფიას (ავტორობით, თანაავტორობით და რე-დაქტიით გამოცემული წიგნები, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მისი და მასზე არსებული მასალები).

თამაზ კიკნაძის შემოქმედებაში წარმოდგენილია ლექსები და მეუღლის, ეთერ კიკნაძის პორტრეტი, რომელიც ქვეყნდება პირველად.

კრებულს ერთვის პირთა ანბანური საძიებელი.

წიგნის გარეკანზე თამაზ კიკნაძე არაბიკის მასიგზე.


წიგნის გარეკანის დიზაინი: ზაზა კიკნაძე

კრებული მოამზადა, ბიბლიოგრაფია და საძიებელი შეადგინა  
ციური კოჭლაშვილმა

რედაქტორი: პაატა ჯავახიშვილი  
დაკაბადონება: შალვა პაპალაშვილი

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 987-9941-0-9051-6



A. Gromyko



## ბამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ჩინებული მოქალაქე

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ კიკნაძე ქართული გეოგრაფიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

თამაზ კიკნაძემ ცხოვრების მძიმე გზა განვდო. 30-იანი წლების რეპრესიების შედეგად ობლად დარჩა და უგვე 14 წლისამდე დაიწყო შრომითი საქმიანობა. პარალელურად სწავლობდა მუშა-ახალგაზრდობის სადამოს სკოლაში. მუშა, რევისორის ასისტენტი, ინკასატორი, მხატვრის შეგირდი, მხატვარ-გამფორმებელი აი მისი შრომითი გზის დასაწყისი. ცხოვრების ამ სკოლამ გამოაბრძედა თამაზ კიკნაძე, ადრე გამოამჟღავნა მისი გამორჩეული ადამიანური თვისებები: სულმართლობა, კაცომოვარეობა, სულიერი სინაზე და ღრმა პატიოსნება.

1960 წლიდან თამაზ კიკნაძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში სპელეოლოგიური საბჭოს სწავლულ მდივნად. ამავე დროს, იგი დიდხანს (1966-1982) იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანაშემწევე.

ჯერ კიდევ 1971 წელს მან ქ. პერმის უნივერსიტეტში დაიცვა საგანდიდატო დისერტაცია – „არაბიკის კირქვული მასივის კარსტი“, ხოლო 1986 წელს-სადოქტორო დისერტაცია – „მთიანი ქვეწების კარსტის ჰიდროლოგია“. ამ უკანასკნელში აისახა მისი მრავალი წლის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგები.

თამაზ კიკნაძის ორგანიზორული და სამეცნიერო პოტენციალი ყველაზე მკაფიოდ გამომჟღავნდა მას შემდეგ, რაც იგი 1982 წლიდან სათავეში ჩაუდგა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა. თამაზ კიკნაძის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ქვესკნელის კვლევის გააქტიურება და მიღებული შედეგების საერთაშორისო აღიარება.

თამაზ კიკნაძის მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა კარსტო და სპელეოგნეზისის პრობლემებს თეორიულ და გამოყენებით ასპექტებში. მან შეისწავლა ბუნებრივი ფაქტორების

გავლენა კარსტული პროცესების დინამიკაზე, მათ ევოლუციაზე დოროსა და სივრცეში; დაადგინა მთიანი ქვეყნების კარსტისა და კარსტული წყლების ფორმირების ძირითადი კანონზომიერებანი, რის საფუძველზეც შექმნა ახალი მეცნიერული მიმართულება-მოძღვრება მთის კარსტის მიწისქვეშა წყლების შესახებ.

მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს უღრმესი კარსტული წყალშემცავი სისტემა გაგრის ქედზე. იგი იყო აფრიკისა და ევროპის არაერთ ქვეყანაში მოწყობილი ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თამაზ კიკნაძის თაოსნობით გეოგრაფიის ინსტიტუტში გამოიკვეთა კონსტრუქციულ-გეოგრაფიული გამოკვლევების კონტურები. ამის დამადასტურებელია მისი რედაქტორობით გამოცემული „კოლექტიუმის დაბლობი, ათვისების მეცნიერული წინამდღვრები“. ამ ნაშრომში, უახლესი გამოკვლევების საფუძველზე, განხილულია კოლექტის დაჭაობებულ დაბლობთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის-ბუნებრივი პირობების, რესურსების, დაჭაობების ძირითადი ფაქტორებისა და მელიორაციულ-სამეურნეო ათვისების თავისებულებანი.

თამაზ კიკნაძემ შეიმუშავა ახალი ფორმულები და მეთოდები ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული დენუდაციის სიდოდეთა ცალ-ცალკე განსაზღვრისათვის. მან პირველმა მსოფლიო პრაქტიკაში შექმნა კარსტული დენუდაციის წყლის ჩაღინებისა და ტექსტურატურაზე დამოკიდებულების მათემატიკური მოდელი.

თამაზ კიკნაძის მიერ გამოვლენილია კარსტულ-სპელუკოლოგიური კვლევის მეთოდების დახმარებით პალეოგეგრაფიული ინფორმაციის მიღების ახალი შესაძლებლობები, რომლებიც მნიშვნელოვნად ავსებს გეომორფოლოგიურ-გეოლოგიურ ინფორმაციას პლიოცენურ-ანთროპოგენური დროის ტექტონიკური მოძრაობის ხასიათის შესახებ.

თამაზ კიკნაძის ინიციატივით დაიწყო „საქართველოს ეროვნული ატლასის“ და აკადემიური გამოცემის „საქართველოს გეოგრაფიის“ მომზადება. იგი ავტორია 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 8 მონოგრაფიის. გამოცემული შრომები-დან მესამედზე მეტი გამოქვეყნებულია ინგლისში, იუგოსლა-

ვიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იტალიასა და ესპანეთში. კარსტოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის იგი დაჯილდოვდა ჩეხოსლოვაკიის სპელეოლოგთა საზოგადოების დიდი თქმოს მედლით (1987). გარდაცვალების შემდეგ მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ავტორთა ჯგუფთან ერთად, „საქართველოს სასკოლო გეოგრაფიული ატლასის“ შედგენისათვის (1994).

თამაზ კიკნაძე იყო რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, საქართველოს სპელეოლოგიის ეროვნული საზოგადოების პრეზიდენტი, სპელეოლოგთა საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრი, საქართველოს ტურიზმის ფედერაციის თაგმჯდომარე. ამავე დროს, იგი იყო მეცნიერების შესანიშნავი პოპულარიზატორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სამეცნიერო-ბიოგრაფიული მონოგრაფია „გიორგი ძოწენიძე“, რომელიც მოსკოვში გამოიცა. იგი იყო არაერთი სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ავტორი, თანაავტორი და რედაქტორი.

ასეთი იყო და მუდამ დარჩება ქართველი საზოგადოებრიობის მეხსიერებაში გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ჩინებული მოქალაქე თამაზ კიკნაძე.

**ერეკლე გამყრელიძე**  
**აკადემიკოსი**

# საინდივიდუალური საღამო

## საიუბილეო საღამო

თამაზ კიგნაძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, შედგა 2016 წლის 26 ოქტომბრის, მენიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა ერეკლე გამყრელიძემ.

„თამაზ კიგნაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ - მოხსენებით გამოვიდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინტიტუტის დირექტორი ნანა ბოლაშვილი.

აჩვენეს თ. კიგნაძის სცენარის მიხედვით გადაღებული დოკუმენტური ფილმი „იდუმალი მიწისქვეშა სამყარო“.

გამომსვლელები:

1. გია ნახუცრიშვილი
2. ანზორ ჭითანავა
3. დავით ლორთქიფანიძე
4. ელენე აბაშიძე
5. თამაზ ქობულაშვილი
6. კიაზო რაქვიაშვილი
7. რევაზ ხაზარაძე
8. გიზო ურუშაძე
9. ზაზა კიგნაძე

\* \* \*

დღეს ჩვენ ავღნიშნავთ გამოჩენილი მეცნიერის გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ თამაზ კიკაძის დაბადებიდან 80 წლისთავს.

თამაზ კიკაძე მცირებლოვან ასაკში 30-იანი წლების რეპრესიების შედეგად ობლად დარჩა და განვლო ცხოვრების მიმე გზა მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლიდან გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორობამდე.

ჯერ კიდევ 1971 წელს მან ქ. პერმის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია-ხოლო 1986 წელს-საღოქტორო დისერტაცია, რომელშიც აისახა მისი მრავალი წლის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგები.

თამაზ კიკაძის ორგანიზატორული და სამეცნიერო პოტენციალი ყველაზე მკაფიოდ გამომუდავნდა მას შემდეგ, რაც იგი 1982 წლიდან სათავეში ჩაუდგა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უძლვებოდა. თამაზ კიკაძის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ქავესკნელის კვლევის გააძლიერებული და მიღებული შედეგების საერთაშორისო აღიარება.

თამაზ კიკაძის მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა კარსტო და სპელეოგენეზის პრობლემებს თეორიულ და გამოყენებით ასპექტებში. მან შექმნა ახალი მეცნიერული მიმართულება-მოძღვრება მთის კარსტის მიწისქვეშა წყლების შესახებ.

მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს უღრმესი კარსტული წყალშემცავი სისტემა გაგრის ქედზე. იგი იყო აფრიკისა და ევროპის არაერთ ქვეანაში მოწყობილი ექსპედიციის ხელმძღვანელი.

მისი რედაქტორობით გამოიცა ფუნდამენტური შრომა „კოლხეთის დაბლობი, ათვისების მეცნიერული წინამდღვრები“.

თამაზ კიკაძის ინიციატივით დაიწყო „საქართველოს ეროვნული ატლასის“ და აკადემიური გამოცემის „საქართველოს გეოგრაფიის“ მომზადება. იგი ავტორია 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 8 მონოგრაფიის. გამოცემული შრომებიდან მესამედზე მეტი გამოქვეყნებულია ინგლისში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იგალიასა და ესპანეთში. კარსტოლოგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის იგი

დაჯილდოვდა ჩეხოსლოვაკიის სპელეოლოგთა საზოგადოების დიდი ოქროს მედლით (1987). გარდაცვალების შემდეგ მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ავტორთა ჯგუფთან ერთად, „საქართველოს სასკოლო გეოგრაფიული ატლასის“ შედგენისათვის (1994).

თამაზ კიკნაძე იყო რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, საქართველოს სპელეოლოგიის ეროვნული საზოგადოების პრეზიდენტი, სპელეოლოგთა საერთაშორისო კავშირის ბიუროს წევრი, საქართველოს ტურიზმის ფედერაციის თავმჯდომარე. ამავე დროს, იგი იყო მეცნიერების შესანიშნავი პოპულარიზატორი, არაერთი სამეცნიერო-პოპულარული წიგნის ავტორი, თანაავტორი და რედაქტორი.

ასეთი იყო და მუდამ დარჩება ქართველი საზოგადოებრიობის მეხსიერებაში თამაზ კიკნაძე – გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ჩინებული მოქალაქე.

## ერეპლე გამყრელიძე

## 01ამაზ პიკნაძის ბიობრაფია და მისი მეცნიერული მიღწევები

მიუხედავად იმისა, რომ თამაზ კიკნაძე ახალგაზრდა გარდაიცვალა, მან საქმაოდ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

გამოჩენილი გეოლოგი, სპელეოლოგი, გეოლოგია – მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ზაქარიას ძე კიკნაძე დაიბადა 1936 წლის 1 იანვარს სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-4 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე (1954), ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. საქმაოდ საინგენიერო და მრავალფეროვანია მისი სამსახურებრივი ბიოგრაფია. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში (1951-59) პარალელურად მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ რეჟისორის ასისტენტად, ინკასაგორად „თბილქანალწყალტრესტში“, მონტიორად „ოქლაშში“, მხატვრის შეგირდად და მხატვარ-გამფორმებლად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საწარმოებში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1960) მუშაობდა ინჟინერ-გეოლოგად „საქასახწყალპროექტში“, ამავე წლს გადაიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის სწავლულ მდივნად. პარალელურად მუშაობდა ბოტანიკის ინსტიტუტში ინჟინერ-გეოლოგად. 1964-66 წლებში კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების სწავლულ მდივნად. 1966-82 წლებში გადაიყვანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანაშემწედ. 1978-82 წლებში შეთავსებით მუშაობდა ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1978 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე. არჩეული იყო სპელეოლოგთა საერთაშორისო კავშირის მდგიმეთა დაცვისა და გამოყენების კომისიის ბიუროს წევრად და ამავე კავშირის პიდროქიმიის კომისიის წევრად,

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კარსტული კომისიის წევრად, სპელეოლოგიური სექციის ბიუროს წევრად, პოლარული რეგიონების საერთაშორისო სამუშაო კომისიის წევრად და სხვ.

1971 წელს, ქ. პერმის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „არაბიკის კირქვული მასივის კარსტი“. 1986 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „მთიანი ქვეყნების კარსტის ჰიდროგეოლოგია“ – სწორედ ამ ნაშრომში აისახა მისი მრავალი წლის მეცნიერული მოღვაწეობის შედეგები.

1982 წლიდან კი მოღვაწეობა გააგრძელდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გოგრაფიის ინსტიტუტში, დირექტორის თანამდებობაზე. მის მეცნიერულ სფეროს კარსტოგენეზისა და სპელეოგენეზის პრობლემატური საკითხების კვლევა წარმოადგენდა.

წლების განმავლობაში მუშაობდა არაბიკის კირქვული მასივის კარსტის და მთიანი ქვეყნების კარსტის ჰიდროლოგიის საკითხებზე. მისი სელმდღვანელობითა და მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს უდრმესი წყალშემცველი სისტემა გაგრის ქედზე. იყო სპელეოლოგთა მრავალი საერთაშორისო კონგრესის, კონფერენციის და სიმპოზიუმის მონაწილე და მომსახურებელი, ხელმძღვანელობდა საკავშირო დელეგაციას სპელეოლოგთა საერთაშორისო კონფერენციიზე: ჩეხოსლოვაკიაში (1964), საფრანგეთში (1969).

1983-84 წლებში ხელმძღვანელობდა სსრკ ექსპედიციას ეთოპიაში აფრიკის კონტინენტის უდიდესი სოფ. ომარის მდვინის შესასწავლად. 1978-89 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე, 1989-91 საქართველოს სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, ამავე საბჭოს პერიოდული კრებულის, „საქართველოს მდვიმების და გამოქვაბულების“ რედკოლეგიის თავმჯდომარე. ამავე წლებში იყო საქართველოს ტურიზმის ფედერაციის თავმჯდომარე, გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი (1985-1991), მრავალი სამეცნიერო საბჭოსა და სამთავრობო კომისიის წევრი.

თამაზ კინაძე გახდდათ სპელეოლოგიისა და კარსტოლოგიის სფეროს გამოჩენილი მეცნიერი. მისი შრომები ცნობილი

და აღიარებულია არა მარტო ყოფილ სსრკ-ში, არამედ უცხოელ მეცნიერთა შორისაც. მისი სამეცნიერო ინტერესები ფართოა. ისინი მოიცავენ კარსტისა და სპელეოგენეზის პრობლემებს როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი კუთხით. მის მიერ შესწავლით კარსტულ პროცესებზე ბუნებრივი ფაქტორების კომპლექსური გავლენა, მათი ევოლუცია დროსა და სივრცეში. მისი შრომების გამოყენებითი ხასიათი განისაზღვრება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში კარსტული წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის რეკომენდაციების დამუშავებასა და დანერგვაში. მან დიდი წვლილი შეიტანა სსრკ და მსოფლიო კარსტოლოგის განვითარებაში, რისი დასტურიცაა უამრავი ჯილდო.

იგი არის 80 სამეცნიერო ნაშრომის და 8 მონოგრაფიის ავტორი. მისი შრომები გამოქვეყნებულია ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, ჩინეთსა და აშშ-ში. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „კარსტული და სპელეოგენეზის თეორია, ევოლუცია და კარსტული წყლების მიწისქვეშა და ზედაპირული აუზების ურთიერთდამოკიდებულება“, მათი მოძრაობისა და განტვირთვის პირობები“; „კარსტის დარაიონების პრობლემები“; „კარსტული პროცესების აქტიურობა, ზედაპირული და მიწისქვეშა კარსტული დენუდაციის გამოვლის ფორმულები, კარსტული პროცესების მათემატიკური მოდელირება“ და სხვ.

მისმა შრომებმა დიდი წვლილი შეიტანა მთის კარსტის აგებულებისა და ევოლუციის შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. დაადგინა კარსტული წყლების მოძრაობის, კვების და განტვირთვის ძირითადი კანონზომიერებები, დაამუშავა ზონალურობის განზოგადებული სქემა და შექმნა ახალი მიმართულება – მთის კარსტის მიწისქვეშა წყლების სწავლებანი. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს უდრმესი წყალშემცველი (2300 მ სიღრმის) სისტემა გაგრის ქედზე. მან მსოფლიოში პირველმა დაამუშავა კარსტული დენუდაციის ჩამონადენის სიდიდესა და წყლის ტემპერატურას შორის კავშირის მათემატიკური მოდელი.

გამოავლინა პალეოგეოგრაფიული ინფორმაციის მიღების ახალი შესაძლებლობები კარსტულ-სპელეოლოგიური კვლევით. მისი შრომების შედეგები გამოყენებული იყო ტრანსკავკასიის რეგიონის ტექნ. რეკ. შედეგენაში, შავი ზღვის საკურორტო ზონის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად, ტურიზმისთვის კარსტული მდგომების კეთილმოწყობისთვის და სხვ.

გეოგრაფიის ინსტიტუტში მოსვლისთანავე ჩაერთო ვახუშტი ბაგრატიონის ატლასის გამოცემისათვის ბრძოლაში. ინსტიტუტისა და მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელები ცდილობდნენ გაერდვიათ სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს მიერ ატლასის გამოცემის წინააღმდეგ აღმართული ზღუდეები. მან ნახევრად ხუმრობითაც კი შეუთვალია ამ სამმართველოს უფროსს, ილია კუტუზოვს, როდის იყო გენერალი კუტუზოვი ბაგრატიონს ებრძოდათ, კუტუზოვს გენერლის ქარაგმა მოსწონებია, მაგრამ საქმე ადგილიდან მაინც არ დაიძრა. 1997 წელს ეს ატლასები დაიბეჭდა, მაგრამ სამწუხაროდ, ბ-ნი თამაზი ვეღარ მოესწრო ამას. თუმცა იგი გახლდათ შემდგენელი და რედაქტორი 1991 გამოცემული „საქართველოს დროშები და გერბები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით“, აღსანიშნავია რომ მხატვარი გახლდათ ბატონი თამაზის შვილი, ზაზა კიკნაძე.

მისი რედაქტორობით ინსტიტუტმა გამოსცა კაპიტალური მონოგრაფია: „კოლხეთის დაბლობი, ათვისების მეცნიერული წინამდვრები“.(1984). მომზადდა ასევე კოლხეთის დაბლობის ატლასი, რაც სამწუხაროდ არ გამოცემულა.

თამაზ კიკნაძის სამეცნიერო წიგნებიდან მინდა განსაკუთრებით ავღნიშნო: Гидрогоеология карста Альпийской складчатой области юга СССР. - М.:Наука, 1984: Терминология карста : Материалы по геоморфол. Терминологии. - М.: Наука, 1991., Георгий Самсонович Дзоценидзе (1910-1976). - М.:Наука, 1986.

თ. კიკნაძემ სამეცნიეროსთან ერთად ექვსი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, ასამდე სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული სტატია დაბეჭდა ქართულ და უცხოურ პერიოდებზე გამოცემაში. მნელია მათგან რომელიმეს გამოყოფა, მაგრამ

მაინც აღვნიშნავ, „დედამიწა და მრისხანე მოვლენები“; „ცისფერი პლანეტის (დედამიწის) საიდუმლოებანი“; „იდუმალი სამყაროს ბილიკებით“; „მღვიმეები და კაცობრიობა“ (გარეკანის მხატვ-ლ. გუდიაშვილი); „სამი კონტინენტის კონტრასტები“ (მოგზაურის შთაბეჭდილებანი). „Пропасти Арабики : Записки спелеолога“. - Тбилиси : «Мецнieriба», 1967.

ნაყოფიერ და აქტიურ სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ბ-ნი თამაზი ეწეოდა დიდ სამეცნიერო-საორგანიზაციო და საზოგადოებრივ საქმიანობას კარსტოლოგიური, სპელეოლოგიური, გეოგრაფიული და ბუნებისდაცვითი კუთხით. იგი იყო საკავშირო სხდომების ორგაონიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სპელეოლოგიური ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, საერთაშორისო სპელეოლოგიურ კავშირში სსრკ-ს მუდმივი წარმომადგენელი და ამ კავშირის ორი კომისიის წევრი; სსრკ გეოგრაფების ეროვნული კომიტეტის და კარსტის კომისიის წევრი, სსრკ აკადემიის ოქანოლოგიის, ატმოსფეროს ფიზიკისა და გეოგრაფიის საბჭოს წევრი, საქ. მეცნ. აკადემიის ბიოსფეროსა და გეოლოგიური კვლევების კომისიის წევრი, სსრკ კუბის მეგობრობის საზოგადოების წევრი და სხვ.

იყო მთელი რიგი ქავენების უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. 1990 წელს თსუ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით არჩეულ იქნა გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე.

დაჯილდოებულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1962), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით (1978), ჩეხოსლოვაკიის სპელეოლოგიური საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ოქროს მედლით (1987). „საქართველოს გეოგრაფიული ატლასი“ – შექმნისათვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1994), გარდაცვალების შემდეგ (1991 წელს, 55 წლის ასაკში გარდაიცვალა).

დღეს, სამწუხაროდ, საქართველოში მეცნიერება პრობლემების წინაშე დგას, ეს ეხება სპელეოლოგიასაც, რომელიც კადრების და განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრების სიმცირეს

განიცდის. არადა, დამეთანხმებით, საქართველო სპელეოლოგიური კუთხით მსოფლიოს ერთ-ერთ უნიკალურ და საინტერესო რეგიონს წარმოადგენს. საქართველოში ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამაა შესასწავლი. მეცნიერების ამ დარგს ფინანსურთან ერთად პოპულარიზაციაც სჭირდება. მიმაჩნია, რომ დღევანდელი იუბილე ბ-ნი თამაზის გახსენებისა და პატივისცემის გარდა, სპელეოლოგიის პოპულარიზაციისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯიცაა. მინდა გავახმოვანო ის იდეა, რომელიც ინსტიტუტში დაიბადა და გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, ბ-ნი თამაზის და გეოგრაფიის ინსტიტუტის ყველა სპელეოლოგის პატივსაცემად, ვაპირებთ ინსტიტუტის ბაზაზე აღვადგინოთ საქართველოს სპელეოლოგიური საზოგადოება, რომლის პრეზიდენტიც 1989-1991 წლებში ბ-ნი თამაზი გახლდათ და მოგიწოდებთ, რომ გაწევრიანდეთ.

ბოლოს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიას, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტს და საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიულ საზოგადოებას, პროფ. თამაზ კიკნაძის იუბილეს მომზადებასა და ჩატარებაში გაწეული დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ოჯახს, ბ-ნი თამაზის მეუღლეს, ქ-ნ ეთერს და შვილს, ბ-ნ ზაზა კიკნაძეს დახმარებისა და ბ-ნი თამაზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის მოწოდებისათვის. დიდი მადლობა ასევე დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის.

ნანა ბოლდაშვილი  
გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი  
გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი

\* \* \*

ძვირფასო კოლეგებო, ძალიან დიდი პატივია ჩემთვის ის, რომ მოგმართავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს. ღირსშესანიშნავ დღეს იმიტომ, რომ ეს არის დაკავშირებული მოგონებებთან და ურთიერთობებთან რომლებიც გამდიდრებს, გავსებს და გაძლევს სტიმულს შემდგომი სრულყოფილებისათვის. სწორედ ამ კრიტერიუმებით მინდა შევეხო ჩემს ურთიერთობას თამაზთან. ის რაც თამაზმა მიიღო სამყაროსგან და ბუნებისგან, მან გასცა არა მცირედ, არამედ ძალიან დიდი რაოდენობით და გაამდიდრა ჩვენი საზოგადოება. საკუთარი მეცნიერული ნაღვაწით მან ჩვენი ოქროს ფონდი შეავსო. ბატონმა თამაზმა ერთი კაცის გასაკეთებელზე ბევრად მეტი შექმნა. მე და თამაზ კიკნაძეს მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობაც გვაკავშირებდა. ის და გეოგრაფიის ინსტიტუტი ჩვენთან თანამშრომლობდნენ როგორც ახალი პიდროვლებებროსადგურების კაშხლების აშენების მიზან-შეწონილობის დამდგენი ექსპერტები.

მე გადავწიტე ჩამეხედა წარსულში და იქ თამაზის ნათელი სახე დავინახე. მაგრამ მე ვისურვებდი, რომ ეს ჩვენი საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს. ახალმა თაობებმა იცოდნენ, რომ ეს ადამიანი რომელიც საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდა ჩამოყალიბდა დიდ ეროვნულ მოღვაწედ, დიდ პატრიოტ მოქალაქედ და სრულქმნილებად. მე პატივს მივაგებ მის ხსოვნას.

ანზორ ჭითანავა  
საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი  
საქართველოს დამსახურებული ინჟინერი  
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

\* \* \*

თამაზი იყო შესანიშნავი პიროვნება, მაგრამ ამ ერთ სი-  
ტყვაში ბევრი რამ იგულისხმება. თამაზი არაჩვეულებრივად  
ჰუმანური ადამიანი, თამაზი საუკეთესო მეგობარი, პატრიო-  
ტი, თამაზი განსწავლული ადამიანი. მართლაც წერა-კითხვის  
მცოდნე პიროვნება. ჩვენი ნაცნობობა ბოტანიკის ინსტიტუტიდან  
დაიწყო, როდესაც ნიკო კეცხოველმა ამ ინსტიტუტში შექმნა  
სპელეოლოგიური კომისია. მას შემდეგ სულ სხვა ცხოვრება  
დაიწყო. მასენდება მათი მზადება ექსპედიციებისთვის. ინ-  
სტიტუტის მოელი ეზო თოკებით იყო ხოლმე მოფენილი ისე,  
რომ კაცი ვერ გაივლიდა. თამაზი მეცნიერული მოღვაწეობის  
გარდა ბევრს აქეთებდა ადამიანებთან ურთიერთობის საქმეში.  
მასენდება ის პერიოდიც, როდესაც თამაზი მეცნიერებათა აკ-  
ადემიის განყოფილების სწავლული მდივანი იყო, შესანიშნავ  
მეცნიერთან აკადემიკოს მიხეილ საბაშვილთან. იქაც მართლაც  
გამორჩეული იყო.

შემდეგ უმაღლეს საბჭოში გააგრძელა მუშაობა და ამ  
პერიოდიდან იქ ასე ვთქვათ გეოლოგების ოაზისი შეიქმნა.  
ყველაფერში ხელს გვიმართავდა. ის გამორჩეული ადამიანი იყო.  
საოცრად უკონფლიქტო. თუმცა იმდენად დაჯერებული იყო სა-  
კუთარ შესაძლებლობებში, რომ ყველა არასასიამოვნო სიტუა-  
ციის მოგვარებას ახერხებდა და სხვებს უკან ახევინებდა. გან-  
საკუთრებული გარეგნობის მამაკაცი იყო. მასენოვს ცნობილი  
ფრანგი კულპანოლოგის პარუნ ტაზიევის ოთხმოცდაათ წელს  
მიღწეული დედა ზენიტა ტაზიევა სტუმრობდა საქართველოს,  
თამაზი მას ყველგან დაყვებოდა და პატრონობდა და აი ერთ-  
ერთ სუფრაზე მოხუცი ქალბატონი ადგა და თქვა, რომ ძალიან  
ნანობს იმას, რომ ახალგაზრდა აღარ არის. გასაგები იყო რა  
იგულისხმებოდა ამ ნათქვამში. აი ასეთი სახუმარო მოგონებით  
მინდა დავასრულო ჩემი გამოსვლა. გმადლობთ ყურადღებისთვის.

გიორგი (გია) ნახუცრიშვილი  
ბოგანიძოს  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრპორტსპონსი

\* \* \*

თამაზ კიკნაძე ჩემზე ოთხი წლით უფროსი იყო. ჩვენ აქ ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები ვართ და ბევრი რამ გვახსოვს. ერთხელ ერთი მეგობარი შემხვდა და მითხრა, რომ ბებიამისს იმ დღეს დედამისისთვის დაურეკავს და უთქვამს, რომ გაზეთში ბერიას დაჭერის ამბავი ეწერა, მაგრამ უთხოვია, რომ მეგობრის დედას ჯერ არსად არაფერი ეთქვა. აი ასეთი დრო იყო მაშინ. ხალხი ძალზე დაშინებული იყო.

თამაზს მამა არ ახსოვდა. ცხრა ნახევარი წლის იყო როდესაც პირველად ნახა დედა. რატომ მოხდა ეს? თამაზის მამას კაპიტან ზაქარია კიკნაძეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა დასწამეს. ვიღაცას შურდა ლამაზი და ნიჭიერი ოფიცრის და ცრუ დაბეზღებამაც არ დაიგვიანა. თანაც ისიც გაუსენებ, რომ მამა აზნაური ყავდა ხოლო დედა კი თავადის ქალი.

თამაზს გზის გაკვალვა სულ დამოუკიდებლად მოუხდა. როგორც წინა გამომსვლელებმა აღნიშნეს, თამაზს საღამო სკოლაში მოუწია სწავლის გაგრძელება და დღე კი იგი მუშაობდა. მრავალი პროფესია გამოიცვალა.

1954 წლისთვის ქვეყანაში არსებული სიტუაცია ზოგადად შერბილდა და თამაზი უმაღლეს სასწავლებელში მიიღეს, თორემ ამ დათბობის გარეშე დიდი შესაძლებლობა იყო იმისა, რომ მისთვის უარი ეთქვათ, რაც იმ პერიოდში ჩვეულებრივი რამ იყო.

თამაზმა ყველაფერს თავისით მიაღწია. კარგად მახსოვს, როდესაც მეცნიერებათა აკადემიაში სწავლულ მდივნად მუშაობდა, შემდეგ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბატონი გიორგი ძოწენიძის თანაშემწედ.

მას პატიოსნების საოცარი აურა დაპყვებოდა.

რაც შეეხება მეცნიერებას, მინდა აღნიშნო ის, რომ ჩემის აზრით ყველა ქართველი ბუნებით გეოგრაფია, მაგრამ სპელეოლოგია კი საკმაოდ ვიწრო დარგია. სპელეოლოგია მხოლოდ მამაცების სარბიელია. თამაზ კიკნაძე პიდროგეოლოგი იყო. წყლის სინჯების ორკილომეტრიანი სიღრმის უფსკრულებიდან აღება ნამდვილად გასაოცარია და მაშინ ეს რასაკვირველია მეცნიერებაში სულ ახალი სიტყვა იყო.

თამაზის შრომისუნარიანობას ის ერთი ფაქტიც კარგად ააშკარავებს, რომელსაც ახლა გავიხევნებ. აფრიკიდან, ეთიოპი-იდან სამუშაო მივლინებიდან დაბრუნებულმა სამეცნიერო მონო-გრაფიის დაწერაც მოასწრო. არამეცნიერებს მინდა ვუთხრა, რომ სტატიისა და მცირე ნაშრომისგან განსხვავებით მონო-გრაფიის შექმნა სერიოზულ, საკმაოდ რთულ და მიზანმიმარ-თულ სამეცნიერო კვლევას ითვალისწინებს და აქედან გამომ-დინარე ძალზე ძნელია. მისი იდეა იყო კოლხეთის დაბლობის ატლასის გაკეთებაც.

თამაზთან ურთიერთობა ძალიან სასიამოვნო იყო. მე ყოვ-ელოვის კარგად მასხველს მასთან სტუმრობა შინ. ზედა სართულ-ზე კი ჩემთვის ძვირფასი ბატონი ვახტანგ ჯაოშვილი ცხოვრობდა. ამ სახლში სტუმრობას ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიხსენებ.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ გეოგრაფიის ინსტიტუტი გამორ-ჩეული იყო იქ მომუშავე ცნობილი მეცნიერების რაოდენობით და ასეთი ინსტიტუტის დირექტორობა და იქ ავტორიტეტის მოპოვება ადვილი საქმე ნამდვილად არ იყო. ეს თამაზმა მშენივრად მოა-ხერხა.

ბატონმა ერეკლემ და ქალბატონმა ნანამ ბრძანეს, რომ საბჭოთა კავშირში არსებობდა ასეთი სერია „გამოჩენილი მეც-ნიერები“. ამ სერიის რამდენიმე ასეულ წიგნთა შორის ქართველ მეცნიერებს მხოლოდ ორი ეძღვნებოდა. ეს იყო პეტრე მელიქიშ-ვილისა და გიორგი ნიკოლაძის ბიოგრაფიები. თამაზ კინაძემ მესამე ასეთი წიგნი გიორგი ძოწენიძეს მიუძღვნა. რითაც ამ გამორჩეული ქართველი მეცნიერის ღვაწლი გააცნო მკითხვე-ლებს საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

და ბოლოს მინდა დაგძინო ის, რომ მქონდა პატივი ბატონ ერეკლე გამყრელიძესთან ერთად თამაზ კინაძის გარდაცვალუ-ბასთან დაკავშირებული წერილი დამეწერა, რომელსაც სათუთად ვინახავ.

### თენგიზ (გიზო) ურუშაძე

(მელიორაცია, ნიადაგმცოდნეობა)

საქართველოს მეცნიერთებათა აკადემიის აკადემიკოსი

\* \* \*

როგორც აქამდეც ითქვა, ბატონი თამაზ კიკნაძე ნამდვილად ძალიან მაღალი რაჩის მეცნიერი იყო. ის თუ შეიძლება ასე ითქვას ადრენალინის მქონე მეცნიერი იყო. მეცნიერები იყოფიან მოგზაურებად და ლაბორატორიულ მეცნიერებად. ბატონი თამაზი ორივე ამ კატეგორიის შერწყმას წარმოადგენდა. მას რომ საკუთარი პროფესია ძალიან უკარდა ამას დღეს აქ ნაჩვენები ფილმიც მშენებიად ააშკარავებს, რომლის მეშვეობითაც იგი სპელეოლოგიის დიდ პოპულარიზაციას ეწევა.

ვისაც მისი წიგნები წაუკითხავს დამეთანხმებიან, თუ რა მსუბუქად და მარტივად წერდა იმისთვის, რომ მკითხველთა უფრო ფართო წრეები დაინტერესებულიყვნენ.

ამის გარდა ბატონი თამაზი ძალიან რთულ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. მე ხელშეკრულება სწორედ გეოგრაფიის ინსტიტუტთან მქონდა დადგბული და ბატონი თამაზი ჩემი პირველი დირექტორი იყო. ეს დაახლოებით ოცდაათი წლის წინ იყო, მაგრამ თამამად შემიძლია გითხრათ ის, რომ ეს ის დრო იყო, როდესაც გეოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდნენ ჩვენი სფეროს სხვადასხვა თაობის კორიფეები. ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ამის დასადასტურებლად მხოლოდ ბატონების ლევან მარუაშვილის, დაგიოთ უკლებას და ვახტანგ ჯაოშვილის სახელების სსენებაც საკმარისია.

ბატონმა თამაზმა და მისმა მოადგილემ ბატონმა რევაზ ხაზარაძემ კარიერის დაწყების შესაძლებლობა მომცეს. ჩვენი თაობა განსაკუთრებული დისციპლინით არ გამოირჩეოდა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წრიდან მრავალი წარმატებული მეცნიერი და დიპლომატი თუ სახელმწიფო მოღვაწე გამოვიდა. მიუხედავად ამისა ბატონ თამაზს ახალგაზრდებთან ურთიერთობის ძალიან ელეგანტური მანერა ჰქონდა. მისი დახმარება ზურგის ქარივით იყო. ყოველთვის მაშინ გაგიმაგრებდა ზურგს, როდესაც ეს საჭირო იყო. მე მინდა მადლობა გამოვუხატო მას ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულებისთვის. ბევრმა ჩვენგანმა გზა სწორედ მისი დახმარებით გაიკვლია.

მე კიდევ ერთხელ უხდი მას მადლობას, რადგანაც ბატონ თამაზს ჩემს კარიერაში და ჩემს ცხოვრებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ვისურვებდი, რომ ის ფუნდამენტი და ის ლირებულებები, რომლებსაც ბატონი თამაზი ავრცელებდა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ განსაკუთრებული ელეგანტური ფორმით, გადაცემულიყოს თაობებს და გეოგრაფიის ინსტიტუტს დაუბრუნდეს ძველი დიდება იმის მსგავსი, როდესაც ეს ინსტიტუტი ქართული მეცნიერების ავანგარდში იყო. ძალიან დიდი მადლობა ამ იუბილეს ორგანიზებისთვის და იმისთვის, რომ მომეცა საშუალება მადლიერება გამომქატა ამ ადამიანისთვის, რომელმაც მართლაც დიდი კვალი დატოვა.

**დავით ლორთქიფანიძე**  
**პალეოანთროპოლოგი**  
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

\* \* \*

თამაზი არაჩვეულებრივი დახვეწილობის ლამაზი და კარგი ქართველი გახლდათ. ის ძალზე მართალი ადამიანი იყო.

თამაზი და კიაზო რაქვიაშვილი რეზო ჯანაშვილის მეშვეობით გავიცანი. წლების განმავლობაში მასთან მეგობრული და პროფესიული დამოკიდებულება მაკავშირებდა. ბევრჯერ გვიმოგზაურია ერთად.

თამაზი იყო მაღალი რანგის მეცნიერი. ყოველთვის ინარჩუნებდა სადი აზროვნების უნარს და ამასთან ერთად გამოირჩეოდა დიდი შრომისუნარიანობით. იყო ძალიან დიდი შესაძლებლობის აღამიანი.

თამაზის დისერტაციის ოპონენტი ვიყავი. დისერტაცია რუსეთში ქალაქ პერმში უნდა დაეცვა. გამგზავრების წინ ძალიან ავად გავხდი, მაგრამ თამაზის გულისხმოვის მაინც მოვახერხე იქ გამგზავრება. რომ დასცლოდა და ასე უდროოდ არ წასულიყო, ბევრად უფრო მეტის გაკეთებას მოასწრებდა.

ელენე აბაშიძე

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათ დოქტორი, სპელეოლოგი

\* \* \*

უნდა გავიხსენო ორი ეპიზოდი ჩემი და ბატონი თამაზის ურთიერთობიდან. ერთი უკავშირდება წყალტუბოს მდვიმის აღმოჩენას და მეორე კი მის დამოკიდებულებას ახალგაზრდებთან. ბატონი თამაზი ყოველთვის ზრუნავდა ახალგაზრდებზე. ყოველთვის გვეკითხებოდა თუ რას გშვრებოდით, როგორ იყო საქმე, რას ვაპირებდით.

ეს ჩვენი საუბრების მუდმივი თემა იყო და ის არასდროს იღლებოდა ამით. ყოველთვის ცდილობდა, რომ ჩვენთვის გზა გაეკვალა. საოცრად ჰუმანური ადამიანი ბრძანდებოდა.

მეორე ეპიზოდი წყალტუბოს მდვიმის აღმოჩენის პერიოდს ეხება. როდესაც ჩვენ შევედით მდვიმის ამ სისტემაში, თავიდან მხოლოდ თვალზომითი ნახაზის გაკეთება მოვახერხეთ. თბილისში დაბრუნებულები მე და ჩემი მეგობრები მივედით ბატონ თამაზთან და მოვახეხერხო, რომ მდვიმის საქმაოდ ვრცელ სისტემასთან გაქონდა საქმე. მას ეს ძალიან გაუხარდა, მაგრამ შევამნიერ, რომ ბოლომდე არ გვენდო. ბატონი თამაზი თავად ბევრჯერ იყო ნამყოფი წყალტუბოში და კარგად იცნობდა ამ რეგიონის გეოლოგიას. მან იქ წასვლა კიდევ ერთხელ შემომთავაზა იმისთვის, რომ პროფესიული აზომვა გაგვეკეთებინა და შემდეგ გაგვეგრძელებინა საუბარი. გამოგვიყო თანხა. წავედით და მდვიმე ავზომეთ. ესეც არ იყო ზედმიწევნით ზუსტი ნახაზი, მაგრამ იმ პირველს დაემთხვა და მხოლოდ მაშინ დაგვიჯერა.

ყოველთვის გვეუბნებოდა, რომ მასთან მოურიდებლად შევსულიყავით და გვესაუბრა ჩვენს მოთხოვნილებებზე. გვეუბნებოდა, რომ ექსპედიციების მოწყობა და თანხის გამოყოფა პრობლემა არ იყო. ხელმძღვანელის ასეთი დამოკიდებულება ახალგაზრდებს საოცარ სტიმულს გვაძლევდა და ყოველთვის მოტივირებულები ვიყავით იმისთვის, რომ რაღაც ახალი გაგვეკეთებინა. მადლობთ ყურადღებისთვის.

თამაზ ქობულაშვილი  
გეოგრაფი, სპელეოლოგი

\* \* \*

დღეს უკვე ბევრი რამ ითქვა თამაზ კიკნაძის მეცნიერული მოღვაწეობისა და ცხოვრების შესახებ. ახლა კი ოუ ნებას მიბოძებო მე, როგორც ბატონი თამაზის მეგობარი რამდენიმე კურიოზს გავიხსენებ.

ერთხელ თამაზმა გადაწყვიტა აფხაზეთის გაგრის ქედზე ზამთრის ექსპედიციის განხორციელება, კარსტზე თოვლის საფარის გავლენისა და სხვა საკითხების შესწავლის მიზნით. თამაზი ცხოვრებისეულადაც და სხვა ასპექტებშიც ჩვენზე უფრო გამოცდილი იყო. ექსპედიციის მსვლელობის ერთ დღეს გვითხრა, რომ ახლა ისეთი ყინვაა წერაყინის პირს ენა მიეწებებათ. ჩვენ გაგვეცინა და იმის დასამტკიცებლად, რომ მართალი იყო მართლაც მიადო წერაყინს ენა და კანიც აეგლიჯა მიყინვის შედეგად. აი ასე თვალნათლივ დაგვარწმუნა საკუთარ სიმართლეში. კიდევ ერთი კურიოზი მინდა გავიხსენო. ეთიობიაში ექსპედიციის დროს მაიმუნებს უდებდა ფოტოს. გზისპირას დიდი ლოდი ეგდო. მაიმუნები თითქოს მიხვდნენ, რომ ფოტოს გუდებდით და რამდენიმე მათგანი ამ ლოდზე ჩამოსხდა. ლოდი გაიგსო და გვიან მოსული დიდი მაიმუნისთვის ადგილი აღარ დარჩა. მაშინ მან ერთი პატარა მაიმუნი გადააგდო ლოდიდან, თავად წამოსკუპდა მის ადგილზე და პოზა დაიჭირა. მშვენიერი ფოტო გამოვიდა.

### თამაზ კიკნაძეს

არცა რა არის ამა ქვეწად ჯანმრთელობის დასადარები, სხვა კველაფერი წვრილმანია, გულშიც არგასატარები, ჯანმრთელობას კი ცოდნა ამკობს, როგორც თხილამურს კანდახები, იყო, და ზარდო ქართველი შვილი, აი, რა არის გასახარები; ზევით მოგია, ჩვენს ქვეით კი უფსერელები ძნელსავალები, სხვა ქველა უმაღ წარმაგალია-ფული, მანქანა, თუნდაც ქალები, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენ სხვანაირი გვაწევს ვალები. იცოცხლა, ვიდრე ბეჭედ მდვიმებს შეუზიდება შენი თვალები!

1 იანვარი, 1972 წელი

კიაზმ რაქვიაშვილი  
გეოლოგი, სპელეოლოგი

\* \* \*

### მოგესალმებით,

მოსაგონარი მართლაც ბევრია. მე გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გახლდით და იმ საქმეში რასაც თამაზი აკეთებდა მისი თანამებრძოლი ვიყავი. თამაზისთვის არ არსებობდა რვა საათიანი სამუშაო დღე. სადამოს ინსტიტუტი რომ დაიცლებოდა ხოლმე, დამიძახებდა და მეტყოდა „ახლა საქმეს მივხედოთ“.

თამაზი ხელცარიელი არ მოსულა ინსტიტუტში. მას წინასწარ ჰქონდა შემუშავებული იმის დეტალური პროგრამა, რის გაკეთებასაც აპირებდა. რა თქმა უნდა ეს პროგრამა რამდენიმე წელზე იყო გადანაწილებული. ბოლო მონოგრაფია “საქართველო ანტროპოგენში” იყო დიდი და კომპლექსური ექვსასგვერდიანი ნაშრომი. თამაზი ამ მონოგრაფიის მთავარი რედაქტორი იყო. კოლხეთის მონოგრაფიის მომზადების დროს მან პარალელურად კოლხეთის ატლასის გამოცემაც დაგეგმა.

ასევე ძალზე რთული იყო სპეციალოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმის საქართველოში ჩატარება. თამაზმა ეს ჩაიფიქრა და განხორციელებაც შეძლო. სიმპოზიუმი თბილისში, წყალტუბოსა და სოხუმში ტარდებოდა. მახსოვს სოხუმში დილით გამაღვიძა და მითხრა წამოდი ფოთში უნდა წავიდეთო. მე გავცდი და ვკითხე თუ რა გვინდოდა ფოთში ამ დილა უთენია. ატლასისთვის დაჭაობების ფოტოსურათები გვჭირდებაო მიპასუხა. წავედით, მან გადაიღო ფოტოები და ისე დაგბრუნდით, რომ სიმპოზიუმის მონაწილეებს არაფერი გაუგიათ.

მე მინდა გავამახვილო ყურადღება თამაზის პროგრამის იმ ზოგიერთ დეტალზე, რომელთა განხორციელებაც მან ვერ შეძლო. ალბათ ყველას გსმენიათ, ცნობილი იტალიელი მთამსვლელისა და ფოტოგრაფის ვიტორიო სელას შესახებ. ვიტორიო სელამ საქართველოში სამჯერ იმოგზაურა და ამ მოგზაურობების ამსახველი შესანიშნავი ფოტოალბომიც გამოსცა.

თამაზმა იტალიიდან მიიღო ვიტორიო სელას ძმისშვილის და სელას ფონდის პრეზიდენტის ლოდოვიკო სელას მიერ

გამოგზავნილი წერილი, სადაც ლოდოვიკო სელა ორი იტალიური ფოტოგრაფის გამოგზავნას სთავაზობდა, რათა მათ იგივე წერტილებიდან გადაედოთ ფოტოები, საიდანაც ვიტორიო იღებდა ასი წლის წინ. თამაზი ამ პროექტს დიდი შემართებით შეხვდა. ფოტოგრაფები ჩამოვიდნენ და ეს პროექტი განხორციელდა. თამაზმა ჩაიფიქრა ვიტორიო სელას ნაკვალევზე საერთაშორისო ტურისტული მარშრუტის დაგეგმვა. შემდეგ ჩვენ უნდა გაგებზავრებულიყავით იტალიაში, მაგრამ ამ დროს თამაზი ავად გახდა. დამიბარა ერთ დღეს და მითხვა, რომ მე ალბათ ვერ წავალ, მაგრამ შენ აუცილებლად წადი, ლევან მიქელაძეც წაიყვანე და იქნებ სელას მარშრუტის საქმეც წინ წავწიოთო. ლოდოვიკო სელა ხალისით დათანხმდა ამ წინადადებას, მაგრამ თამაზის უდროო გარდაცვალებამ ამ საქმის დასრულებას ხელი შეუშალა. სამწუხაროდ, მას ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი.

**რეგაზ ხაზარაძე**  
**გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილე**

## სიტყვა საიუბილეო საღამოზე

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებას, ბატონ ერეკლე გამყრელიძეს, სწავლულ მდივანს, ქალბატონ ეთერ კილასონიას, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს და მის დირექტორს ქალბატონ ნანა ბოლაშვილს, საქართველოს გეორგაფიულ საზოგადოების სწავლულ მდივანს ქალბატონ ქეთევან მგალობლიშვილს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას, ქალბატონ ციური კოჭლაშვილს, თამაზ კიკნაძის ბიო-ბიბლიოგრაფიის მომზადებისთვის, რომელიც უახლოეს მომავალში დაისტამბება, თამაზ კიკნაძის მეუღლეს, დედაქმე ეთერ კიკნაძეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა დღვევანდელი იუბილეს მოწყობაში. მადლობას სიტყვით გამოსულებს, ბატონებს: გიზო ურუშაძეს, გია ნახუცრიშვილს, დავით ლორთქიფანიძეს, ანზორ ჭითანავას, რეზო ხაზარაძეს, კიაზო რაქვიაშვილს, თამაზ ქობულაშვილს, ქალბატონ ელენე აბაშიძეს და ყველას ვინც დღეს აქ მობრძანდით თამაზ კიკნაძის გასახსენებლად.

მამას ბავშვობა ისევე როგორც საქართველოში მცხოვრები მისი თაობის ყველა წარმომადგენელისა ძალზე მძიმე პერიოდს დაემთხვა. ის მხოლოდ ერთი წლის იუო, როდესაც დედ-მამა დაუპატიმრეს. მამა მაშინვე 1937 წელს დაუხვრიტეს. დედა კი რვა წლით გადასახლეს ურალის მიდამოებში. თუმცა, ამას წინ, 1921 და 1924 წლები უსწრებდა. 1921 წელს თამაზის მამა მეორე სათავადაზნაურო გიმნაზიის კურსდამთავრებული ზაქარია კიკნაძე საქართველოში შემოჭრილი ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა. მაშინ დამპყრობლებს გადაურჩა. თუმცა 1924 წლის რეპრესიების დროს დახვრიტეს ბიძამისი, დედის მარიამის მმა არჩილ მაყაშვილი. როდესაც თავად-აზნაურობის მამულების და სახლების ჩამორთმევა დაიწყეს, თამაზის პაპამ პავლე კიკნაძემ თბილისში საკუთარ სახლში შეიფარა უსახლკაროდ დარჩენილი ნათესავების რამდენიმე ოჯახი. მოგვიანებით თამაზის მამა ზა-

ქარიაშ საარტილერიო სახწავლებელი დამთავრა და ქართულ დივიზიაში ოფიცრად დაიწყო სამსახური. ზაქარია ნიჭიერი არა-პროფესიონალი მხატვარი და მუსიკოსიც გახლდათ.

როგორც ზემოთ ვახსენე 1937 წელს კაპიტნის წოდების მქონე 33 წლის ზაქარია კიკნაძე დაპატიმრებ და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობის ბრალდებით მაშინვე დახვრიტეს. სტალინის გარდაცვალების შემდეგ დაწყებული რეპრესირებულების რეაბილიტაციის პროცესის დროს ოჯახმა მიიღო შეტყობინება, რომ თითქოს ზაქარია კიკნაძე 1942 წელს გადასახლებაში გულის შეტევით გარდაიცვალა.

მოგვიანებით გამოცემულ მასალებმა გამოაშკარავა ის, რომ ზაქარიას სიკვდილით დასჯის დოკუმენტს ხელი პირადად სტალინმა მოაწერა. ეს მასალები თამაზ კიკნაძის გარდაცვალების შემდეგ გასაჯაროვდა და მისი ეჭვები საბოლოოდ დადასტურდა.

დაპატიმრებულთა პირადი საკუთრების კონფისკაციის შედეგად ერთი წლის თამაზი და მისი უფროსი მმა ოთარი უსახლკაროდ დარჩნენ. ბავშვები მათი დედის მოხუცმა მშობლებმა შეიკედლეს. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში დიდედა და პაპა გარდაიცვალნენ. ასევე გარდაიცვალნენ თამაზის მამის ზაქარია კიკნაძის მშობლებიც.

ამ დროისთვის თამაზის უფროსი მმა ოთარი უკვე მოხალისედ იყო წასული ომში. ოთარმა სამხედრო სამსახურში 1947 წლამდე დაჲყო ვენაში. თამაზი დეიდამ, დედის სოფიოს უფროსმა დამ ბარბარემ შეიკედლა. ცხრა წლის იყო როდესაც 1945 წელს პირველიდ ნახა გადასახლებიდან დაბრუნებული დედა.

მართალია სოფიო კიკნაძე გადასახლებიდან დაბრუნდა, მაგრამ მას ხუთი წლით თბილისში ცხოვრება ეკრძალებოდა. დიდებაჩემი მალულად ხან სად და ხან სად რჩებოდა, რომ ბავშვთან ახლოს ყოფილიყო. მამა ისხენებდა იმას თუ ხშირად შუა დამეს, როგორ აბრახუნებდნენ კარზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები და ამოწმებდნენ იყო თუ არა იქ დამალული დედა. სულ მცირე ასაკიდან სკოლის დამთავრებამდე მამას “ხალხის მტრის ოჯახის წევრის” ოფიციალური იარლიყი

ჰქონდა მიწებებული. ამ კატეგორიაში შემავალ ბავშვებს ოქტომბრელთა, პიონერთა და კომკავშირელთა რიგებში არ იღებდნენ. დედას მუშაობის უფლება არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად სწავლობდა, გაჭირვებამ თამაზი აიძულა ჩვეულებრივი სკოლა დაეტოვებინა და საღამოს სკოლაში გაეგრძელებინა სწავლა. დღე კი იგი მუშაობდა.

მოგვიანებით მან უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. სწავლის დამთავრების შემდეგ კი იწყება თამაზ კიკნაბის უწყვეტი სამეცნიერო კარიერა. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის გარდა, მამა ასევე სამეცნიერო პოპულარული წიგნების ავტორიცაა. იყო რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ის ბევრს მოგზაურობდა და არასდროს ივიწყებდა ნანახის ფურცელზე გადატანას. მამა მხატვრულ ლიტერატურასათვის მისდევდა, წერდა ლექსებს და პროზაულ ნაწარმოებებს. უკრავდა მრავალ მუსიკალურ ინსტრუმენტზე და მღეროდა.

ის ყოველთვის გვიანობამდე მუშაობდა და თითქმის არ ეძინა. ბუნებით ლიდერი, საკუთარი თავისადმი და სხვების მიმართაც ძალზე მომთხოვნი იყო.

ეწეოდა სპელეოლოგიის პოპულარიზაციას და დაუღალავად ცდილობდა ქართული სპელეოლოგიის უფრო აქტიურად ჩართვას საერთაშორისო ფერხულში.

მამა ხშირად ჩიოდა იმას თუ რამდენად არაეფექტური იყო საბჭოთა სამეცნიერო სისტემა დასავლურთან შედარებით. მასსოვს როგორ მოჰყავდა მაგალითად ის, რომ დასავლეთში შრომით ნაკლებად ცნობილი ფრანგული სულ რამდენიმე კაციანი სამეცნიერო ჯგუფიც კი მოცემულ დროის პერიოდში ბევრად მეტს აკეთებდა, ვიდრე საბჭოთა ინსტიტუტის რამდენიმე ასეული ადამიანი. წესდა საბჭოთა ტექნოლოგიების პრიმიტიულობის გამოც და მუდამ ქართველი სპელეოლოგების აღჭურვილობის პრობლემის მოგვარებას ცდილობდა.

გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორობის პერიოდში მიაღწია იმას, რომ ინსტიტუტი ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გახდა. ამ დიდი ქართველი მეცნიერის 300 წლის იუბილეს მოაღვევებასთან დაკავშირებით სხვა ბევრი რამეც გაკეთდა. მაშინ

ვახუშტის პორტრეტი დახატა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა დიმიტრი ერისთავმა. პირველად მზადდებოდა გამოცემისთვის ვახუშტისეული ატლასი.

თამაზ კიქნაძე იყო საქართველოს სპელეოლოგთა საზოგადოების პირველი პრეზიდენტი. საქართველოს ტურიზმის საბჭოს თავმჯდომარე ცდილობდა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ახალგაზრდული სპელეოლოგიური სექციების შექმნას. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული და რუსული სპელეოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნაში.

მამას ყოველთვის ძალზე უნდოდა საკუთარი ცოდნის და გამოცდილების ახალგაზრდა თაობისთვის გადაცემა და გარდაცვალებამდე თითქმის ორი წლით ადრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იგი გეომორფოლოგისა და გეოლოგის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე აირჩიეს.

სამწუხაროდ, მამა 1991 წლის აგვისტოს 55 წლის ასაკში გარდაიცვალა და მას მრავალი წამოწყება დარჩა დაუსრულებელი.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას.

ზაქარია კიკნაძე  
მხატვარი, პერალდიკოსი

მოგონებები

\* \* \*

დღეს მე დიდი პატივით ვიხსენებ ჩემს მეგობარს, ჩვენი ქვეყნის ლირსეულ შვილს, გამორჩეულად ჭეშმარიტ პატრიოტს, თამაზ კიკნაძეს.

თამაზთან დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს, ჩვენი მეუღლეები ბავშვობის მეგობრები არიან და ჩვენი ნაცნობობაც ოჯახურ მეგობრობაში გადაიზარდა.

იოლად არ უცხოვრია – სიყმაწვილე უდედმამოდ გაატარა, შემდგომაც ათასნაირი სირთულე შეხვდა, მაგრამ სულიერად არ დაცემულა. არ უდალატია საკუთარი პრინციპებისათვის, არ სჩვეოდა წუწუნი. მუდმივად ხარჯავდა უშრეტ ენერგიას. მისთვის მიუღებელი იყო პატივმოყვარეობა.

ძლიერსა და შეუპოვარს, სპორტსმენს, მოგზაურ-მკვლევარს დალაშქრული პქონდა საქართველოს კარსტული მოები. გაგრის არაბიკის მასივის უღრმესი მღვიმები და გამოქვაბულები კი განსაკუთრებულად პქონდა შესწავლილი.

დიახ, მე ნათლად წარმოვიდგენ ჩემი კოლეგის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის განვლილ გზას, მის უძილო დამექბე, ოცნებებს... გამარჯვებით გაბრწყინებულ სახეს, რაც ასე ხშირი იყო მის ცხოვრებაში და ერისა და ქვეყნის ძლიერებას ემსახურებოდა.

მართლაც, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს არცერთი ექონომიკური თუ მეცნიერული მიმართულება, სადაც გახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა სათანადოდ არ იყოს აღიარებული. რაოდენ საამაყო მისი თაობის წარმომადგენელთავის ის ფაქტი, რომ ჩვენს სახელოვან წინაპრებთან ერთად დიდი წვლილი მის თავგაცს, თამაზ კიკნაძეს მიუძღვის.

